# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა.—შაბათი, 1 ივლისი 1900 წ. № 1167

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

ტელეფონი № 372.



„მ ო ა მ ბ ე“ **1900 წ.** „ცნობის ფურცელი“

| (წელიწადი მეშვიდე) | (წელიწადი მეხუთე) |
| --- | --- |
| **გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში.** | **გამოვა ყოველ დღე კვირა უქმეების შემდეგაც.** |
| ფასი ჟურნალისა გაგზავნით: | გაზეთის ფასი გაგზავნით: |
| 1 წლით 6 თვით 3 თვით | 1 წლით 6 თვით 3 თვით 1 თვით |
| 10 მანეთი 6 მან. 4 მან. | 6 მანეთი 3 მ. 50 კ. 2 მანეთი 75 კაპ. |
| სამზღვარ გარედ წლიურად 13 მან. | სამზღვარ გარედ წლიურად 7 მანეთი. |

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:**

| | |
| --- | --- |
| პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ. | პირველად 3 მან., 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ. |

**ვინც „მოამბე“-ს ერთისწლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ დაეთმობა გამოწერის დღიდან**

**წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი**

| | |
| --- | --- |
| **ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება, სხვათა შორის, შინაური და უცხოეთის მიმოხილვა.** | **გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბავი) და სხვ.** |

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ. მეოთხეზე—5 კ.

**თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.**

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.


## მთავრობის განკარგულებანი

ბათუმის დამოჟნის მოხელეს ტიტულ. სოვეტნიკს მიქაძეს ებოძა კოლეჟ. ასესორობა.

ბაქოს დამოჟნის მოხელეს გუბ. სეკრეტ. გეგელაშვილს ებოძა კოლეჟ. სეკრეტრობა.

# ახალი ამბავი

✦ ხუთშაბათს, 29 ივნისს, ჩამოვიდნენ პეტერბურგიდან ტფილისში: კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი, მეუღლე მისი კნ. მ. თ. გოლიცინისა, მთავარ-მართებლის კანცელარიის დირექტორი ი. ი. სანდრიგაილო და სხვა მოხელენი, რომელნიც ახლდნენ პეტერბურგში მთავარ-მართებელს.

✦ „კავკაზ“-ში დაბეჭდილია შემდეგი ბრძანება კავკასიის მთავარ-მართებლის თავ. გ. ს. გოლიცინისა: „დავბრუნდი-რა ტფილისში, მე, 29 ივნისიდან, შევუდექი მართვა-გამგეობას უმაღლესად ჩემთვის ჩაბარებულის ქვეყნისას, რასაც ვუცხადებ კავკასიის სახელმწიფო დაწესებულებათ და მოხელეთ“.

✦ გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება იმის შესახებ, რომ ტფილისის საკადეტო კორპუსში არსდება სამი სტიპენდია ყუბის ოლქის მთიულთა შვილების ასაზრდელად.

✦ ქუთაისის ვიცე-გუბერნატორად, გარდაცვალებულის მიკლაშევსკის მაგიერ, უმაღლესის ბრძანებით დაინიშნა მინისტრთა კომიტეტის კანცელარიის მმართველის უფროსი თანაშემწე ბ-ნი კალაჩევი.

✦ მკითხველებმა უკვე იციან, რომ 28 მარტს, ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოში ვაჭრობა იყო დანიშნული სასტამბო საქმეების გასაცემად. ეს საქმეები წელიწადში 150,000 მანეთისაა და ხუთის წლის პირობით გაიცა. ვაჭრობაში მიიღეს მონაწილეობა მხოლოდ ლიბერმანმა, რომელიც ეხლა ასრულებს რკინის გზის საქმეებს, და „ქართველთა ამხანაგობის სტამბის“ წარმომადგენელმა. თუმცა ამხანაგობის ფასები ნაკლები იყო, მაგრამ რკინის გზის აქაურმა საბჭომ ერთხმად გადასწყვიტა მაინც ლიბერმანს შეჰკვროდნენ პირობით. ამ გარდაწყვეტილებას არ დასთანხმდა ხსენებული „ამხანაგობა“ და გაუგზავნა საჩივარი გზათა მინისტრს თავადს ხილკოვს. 28 ივნისს, რკინის გზის აქაურს მმართველობას მოუვიდა ბრძანება პეტერბურგიდან: შეეკარით პირობით ქართველთა „ამხანაგობას“ და ეადა მიეცით იანვრამდე ვადა მოაწყონ თავიანთი სტამბა საჭიროებისამებრო.

✦ საოლქო სასამართლოს წარედგინა ბრალდებითი ოქმი ჯარის-კაცთა მატარებლის ლიანდაგიდან გადავარდნის შესახებ შარშან ნოემბერში ძეგვის ხიდზე, სადგურ ქსანკასთან. ამ საქმეში ბრალი ედებათ და სამართალში მისცეს: ამიერ-კავკასიის რკინის გზის საგზაო ოსტატი კონსტანტ. სახურია, გზის მე-6 ნაწილის უფროსის თანაშემწე ინჟენერი ნაგელი და სადგურ მცხეთის უფროსის თანაშემწე აზნაური ჯავახიშვილი.

✦ დიდვა თუ არა სიცხეები, ქართლშიაც და კახეთშიაც აღმოჩნდა **ვურმნის ავადმყოფობა**. კავკასიის სამეურნეო გაზეთი ურჩევს ვენახების პატრონთ—ეხლავ უწამლონ ვენახებს ბორდოს სითხეთი და გოგირდით, მილდიუსა და ოიდიუმის ასაცდენად.

✦ ჩვენ გვატყობინებენ, რომ ტფილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოებას ნება მოსვლია ფინანსთან სამინისტროსაგან აძლიოს **სესხი სოლო-ვექსელით**.

✦ **სამიწად-მოქმედო სამინისტრო აცხადებს:** „სამიწად-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს არა ერთხელ გამოუცხადებია, რომ ის სახაზინო ადგილები, რომელნიც ჩერნომორიის გუბერნიაში კერძო პირთათვის დასარიგებლად იყო დანიშნული, რათა ამ ადგილებზე მათ გაეშენებიათ ძვირფასი ხე—მცენარეები, უკვე ყველა დაურიგდა მსურველთ. მიუხედავად ამისა, სამინისტროს კვლავ ბევრი თხოვნა მოსდის სხვა და სხვა პირთაგან—დაგვითმეთ ხსენებული ადგილებიო. ამის გამო სამინისტრო კიდევ აცხადებს საყოველთაოდ, რომ ხსენებული ადგილები ყველა დარიგდა და ამიტომ ყველა თხოვნები უყურადღებოდ და განუხილველადაც დატოვებულ იქმნებიან.“

✦ კავკასიის სააბრეშუმო სადგურის გამგე **ნ. ნ. შავროვი**, სამიწად-მოქმედო მინისტრის განკარგულებით, იგზავნება საზღვარ-გარედ იქაურის მეაბრეშუმეობის და მეფუტკრეობის შესასწავლად.

✦ კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს უარ-უყვია ზუგდიდის მაზრის, რედუტ-კალეს განყოფილების მცხოვრებთა თხოვნა იმის შესახებ, რომ ხსენებულ განყოფილებაში დაარსებულ იქმნას **ამერიკის ვაზის სანერგე**, რადგანაც ამერიკის ვაზის მყნობა სწარმოებს უკვე პრინცესსა მიურატის მამულში.

✦ **სახაზინო რკინის გზების** გაფართოვებისა და მათ უკეთესად მოწყობისათვის წელს მთავრობას გადაუდვია 32.080.000 მანათი.

✦ გუშინ, 30 ივნისს, ტფილისის მეორე განყოფილების მომრიგებელ მოსამართლემ განიხილა ცნობილი **საქმე მასწავლებლის წერეთლისა და ქ. ბ. არაფელოვისა**, რომელთაგან უკანასკნელმა პირველს პალტოს მოპარვა დასწამა. მოსამართლემ მიუსაჯა ქ. ბ. არაფელოვისას 5 დღით დაპატიმრება.

✦ ჩვენ გავიგეთ, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობას გადაუწყვეტია შუამდგომლობა აღძრას სათანადო მთავრობასთან კავკავის სკოლასთან ბუჰგალტერიისა და საკომერციო არითმეტიკის კურსების დაარსების შესახებ. ხსენებულ გამგეობას განზრახვა აქვს დააარსოს ამ გვარი კურსები ბათუმის სკოლასთანაც.

✦ „კავკაზ“-ში ვკითხულობთ: „**ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების**“ გამგეობა გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მან მიიღო ყარსიდან 134 მან. 50 კ., შემოსული იქ გამართულ საღამოდან“.

ში უნდა დაებეჭდა, თუ უწინ არა, იმავე დღეს მაინც, რა დღესაც რუსულ გაზეთშია!

✦ ჩვენ მივიღეთ ახლად დაბეჭდილი წიგნი: „ქნარი, ანუ ქება და დიდება საქართველოს შესანიშნავის მეფის თამარის და მეუღლის მის დავით მეფისა, თქმული თამარ მეფისავე თანამედროვის გრიგოლ ჩახრუხაძის მიერ“, გამოცემა ზაქ. ჭიჭინაძისა. ეს „ქნარი“ გრ. ჩახრუხაძეს 1185 წ. დაუწერია, ესე იგი ბევრად უწვიანეს შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსნის“ და იოანე შავთელის ნაწერამდე. როგორც ვიცით, ჩახრუხაძეს ნაწერები პირველად პ. იოსელიანმა დასტამბა 1838 წ. ქ. ტფილისს. მეორედ ზ. ჭიჭინაძემ 1882 წ.; ერთიცა და მეორეც ამოცემაც ისე ცოტა დაებეჭდათ, რომ დღეს მსურველი ამ ნაწერს ვერსად შოულობდა. ეხლა ბ. ზ. ჭიჭინაძეს გამოუცია მესამედ. ეს გამოცემა შეიცავს 48 გვერდს ღ ღირს 20 კ.

✦ ჩვენ მოგვივიდა პატარა ლექსთა კრებული „საამდროვო ლექსები“ გოგოლაძისა, ბეგლარასი და ვ. თაქ—შვილისა; გამოცემა მეშისა № 1, წიგნაკში სულ 19 გვერდია და ღირს 7 კაპ.

---

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**28 ივნისს**

**პეტერბურგი.** 28 ივნისს, მემკვიდრე ცესარევიჩის გიორგი ალექსანდრეს ძის გარდაცვალების წლის თავზე, პეტრე-პავლეს საკრებულო ტაძარში გარდახდილ იქმნა, მათ იმპერატორებითი უდიდებულესობათა დასწრებით, პანაშვიდი.

**პარიზი.** ქალაქის თვითმმართველობამ მიიღო დღეს ბურების დესპანნი.

პალატა. ვალდეკ-რუსსო ჰკითხულობს პრეზიდენტის ბრძანებას პალატის სესსიის დასრულების შესახებ. ყველა მემარცხენენი ფეხზე წამოდგნენ და დაიძახეს—რესპუბლიკას გაუმარჯოსო.

სენატმა ერთხმად დაამტკიცა კრედიტი ჩინეთში ჯარის გასაგზავნად მომზადებისათვის და პროექტი ყავაზე ბაჟის შემოღების შესახებ. მონისმა წაიკითხა დეკრეტი სენატის სესსიის დასრულების შესახებ.

**ბერლინი.** გერმანიის კონსულისაგან ტიანცზინში ამბავი მოვიდა, რომ ჩინელებმა რამდენჯერმე დაუწყეს სროლა ტიანცზინის იმ ნაწილს, რომელიც ევროპიელებით არის დასახლებული.

23 ივნისს 2000 „მოკრივე“ თავს დაესხა ფრანგთა მოსახლეობას; ისინი უკუ-აქციეს რუსებმა.

24 ივნისს ინგლისელებმა და იაპონელებმა ყუმბარები დაუშინეს ჩინელთა არტილერიას. საღამოს ჩინელებმა ყუმბარა ესროლეს გერმანიის კონსულის სადგომს, რომელსაც ცეცხი წაეკიდა. ცეცხლი მაშინვე ჩააქრეს, ასე რომ ზარალი მცირეა.

გემი „პეიპანგი“ 23 ივნისს წავიდა ტაკუს; გემზე გერმანელი დაჭრილებია.

ტაკუსა და ტიანცზინის შუა მიმოსვლა ზღვით აღდგენილია. რკინის გზის ლიანდაგი ტონკიდან ტიანცზინში შეკეთებულია თითქმის სრულიად; შეუკეთებელია მხოლოდ სამი უკანასკნელი მილი!

თითქმის ყველა ევროპიელთა ოჯახები წავიდნენ აქედან ტაკუში 21 ივნისს.

**ბერლინი.** გერმანიის სადიპლომატო წარმომადგენლად ჩინეთში დაინიშნა ელჩი ლირკსემბურგში ფონ-მუმმი.

**პარიზი.** ჩინეთის ელჩმა შეატყობინა დელკასსეს, ლიხუნგჩანგიდან მივიღე ცნობაო, რომ, პეკინიდან მოსულ ცნობებით, ჩინეთის ჯარის კაცნი და მეამბოხენი თან და თან თავს ანებებენ საელჩოებსაო.

**ვილჰელმსგაფენი.** დილას წავიდა ჩინეთისაკენ ესკადრა.

**ბერლინი.** გერმანიის კონსული იტყობინება ჩიფუდან, შანდუნის გუბერნატორის დეპეშა გვატყობინებსო, რომ უცხოელთა ელჩები პეკინში კარგად არიანო; როგორც სჩანს, ამბოხება სუსტდებაო; მისსიონერები ჩიფუსა და ცზინტაუსში წავიდნენო.

**სეული.** სეულსა და პორტ-არტურის შუა ტელეგრაფი აღარ მუშაობს. ჩემულპოდან დროებით მიმოსვლა აღდგენილი ჩიფუმდი და ტაკუმდი.

**შანჰაი.** მიღებულია პრინც ტუანის ბრძანების ერთი ეგზემპლიარი, რომელშიაც [illegible]ის თავის თავს იმპერატორად აღიარებს.

**სიმლა.** კოხოტში საშინლად გავრცელდა ხოლერა. გასულ კვირას 207 კაცი გახდა ავად; მათგან 77 მომკვდარა.

**ვაშინგტონი.** ამერიკის ჯარის გაძლიერებისათვის ჩინეთში გაიგზავნება ფილიპეს კუნძულიდან 6000 კაცი. კუნძულ კუბაზე მალე განთავისუფლდება სამი პოლკი, რომელნიც გაიგზავნებიან, ან ჩინეთში, ან ფილიპეს კუნძულებზე.

**პარიზი.** საფრანგეთის ჯარის უფროსად ჩინეთში დაინიშნება გენერალი ვუარენი, გენერლები ბალიო და ფრეემი კი დაინიშნებიან ჯარის ნაწილების უფროსებად; ვიცე-ადმირალი პოტიე დაინიშნება ჩინეთში გაგზავნილ ფლოტის უფროსად.

**პეტერბურგი.** ბირჟა, 27 ივნისს. 5% გირავნობის ფურცლებს ტფ. სათავად-აზნაურო ბანკისას ჰყიდიან 98 მანეთად, 4½% ჰყიდულობენ 87 მანეთად. 6% გირავ. ფურცლებს ქუთ. სათავად-აზნაურო ბანკისას ჰყიდიან 100 მანეთად, 5%—გაუყიდიათ 96⅝ მანეთად.

**29 ივნისს**

**მოსკოვი.** მამონტოვის საქმე. ექსპერტებმა ორმოცზე მეტ საკითხზე უპასუხეს. იაროსლავის რკინის გზის კასსიდან გაუგზავნიათ ნევის ქარხნისათვის 9 წლის განმავლობაში 13 მილიონი მან.; 1896 წლის დამდეგამდის ქარხანას მიუღია 2 მილიონით მეტი, ვიდრე მას ერგებოდა. ქარხნის

---

## სამეცნიერო ცნობა

### ყვავილის აცრა და დ—რი ჯენნერი

(დასასრული)

X *)

ამნაირად მოეწყო ბოლო ხანში ჯენნერი, როცა სიცოცხლის უკანასკნელი წამი გასაქრობად იყო მომზადებული. მოხუცებულობამ ვერაფერი დააკლო: იგი ისევ კარგ ჯან-ღონეზე იყო. ბოლოს კი დამბლა დაეცა. 1820 წლის 9 აგვისტოს ჯენნერი ბაღში დასეირნობდა და უცებ უგრძნობლად დაეცა დედა-მიწაზე; გამოვარდნენ სახლიდან და ცოცხალ-მკვდარი შეიყვანეს ოთახში. მაგრამ ავადმყოფობამ უვნებლად ჩაიარა იმ ხანად. საუბედუროდ დამბლა ხელმეორედ მოუვიდა 1823 წ. 26 იანვარს და ეხლა კი სასიკვდილო შეიქმნა. წინა დღეს ჯენნერი კარგ გუნებაზე იყო: იგი ისე კარგად ჰგრძნობდა თავს, რომ ფეხით გაემგზავრა ერთ მახლობელ სოფელში ღარიბი ოჯახებისათვის შეშის დასარიგებლად. იქიდან რომ დაბრუნდა, სტეფენთან შევიდა. სტეფენი მაშინ რაღაცას ჰხატავდა და ერთ შოტლანდიურ სიმღერას დაჰღიღინებდა.

— შენ, მეგობარო, სრულებით ისე ვერ მღერი მაგას, როგორც უნდაო, სთქვა ჯენნერმა, როცა კარებში ფეხი შესდგა; მაგრე კი არა და ასე უნდაო და თვითონ დაიწყო. რამდენიმე სტრიქონი იმღერა. გარედ ძლიერ ციოდა ამ დროს და ბუხარში კი ცეცხლი მინელებული იყო; სტეფენისათვის რომ მეცადინეობა არ დაეშალა, თვითონ მოჰკრიბა ნახშირი და ცეცხლი კვლავ გააჩაღა. ამ დროს ოთახში ვილაც შემოვიდა და ჯენნერმა გაუხუმრა: ხომ ჰხედავთ სტეფენს ახალი მოსამსახურე ჰყავსო. ამ ღღემ ჩვეულებრივად ჩაიარა, მეორე დღეს, დილით, ჯენნერი ბიბლიოთეკაში შევიდა. მას ყოველთვის მოსამსახურე თან ახლდა და, რადგანაც ამ დღეს საუზმე როგორღაც დააგვიანეს, იგი გაგზავნა ამბის შესატყობად და უბრძანა დაეჩქარებინათ. როცა ბიჭი უკან მობრუნდა, თავისი ბატონი იატაკზე გაშხლართული დახვდა. შეიქნა ერთი ფაცა-ფუცი. ყველა შინაურები მისცვივდნენ ჯენნერს, მაგრამ ამაოდ; სული უკვე განეტევებინა.

ამნაირად გარდაიცვალა 74 წლის დ—რი ჯენნერი. იგი დაასაფლავეს ჩენტრის ბაღში, სწორედ იმ ადადგილას, რომელიც მან სიცოცხლეშივე ამოირჩია.

დიდია ის ღვაწლი, რომელიც ჯენნერმა გაუწია ქვეყანას და დიდი უნდა იყოს ჩვენი მისდამი პატივისცემაც. სხვა-და-სხვა ქვეყნის მგოსნები და მხატვრები ალტაცებით უმღერდნენ მისს ღვაწლს და სამუდამოდ უნერგავდნენ გონებაში თავისს ერს მისს უკვდავ სახელს. ყველა იმას ამკობდა, რითაც კი შეეძლო, ზოგი გალობით, ზოგი ლექსებით და ზოგიც მხატვრობით. ერთმა იტალიელმა მონტევერდემ მარმარილოსაგან გამოაქანდაკა მშვენივრად ჯენნერის ტანი: იგი ზის სკამზე და მუხლებზე ერთი პატარა ბავშვი უზის, რომელსაც ყვავილს უცრის დიდის მოწიწებით. ამაზე უკეთესად ჯენნერის ცხოვრების მნიშვნელობისა და ღირსების გამოხატვა შეუძლებელია!

რაც რომ აცრა მოიგონა დაუვიწყარმა ჯენნერმა, მას აქეთ ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობამ ერთი ორად მოიმატა. ამაში დასარწმუნებლად, საკმაოა კაცმა შეადაროს წინანდელი ახლანდელი სიცოცხლის ხანგრძლივობა.

— ჯენნერმა სამი წლის სიცოცხლე მოგვიმატაო,—სთქვა მეცნიერმა ლაპლასმა და მართალიცაა.

ი. კორტელი

*) იხ. „ცნობ. ფურც.“ № 1166.

მთელი ვალი 8 მილიონია. ექსპერტებმა აღმოაჩინეს, რომ გამგეობის წევრები და კრივოშეინი იღებდნენ მეტს ფულებს, ვიდრე ამას გზის საჭიროება მოითხოვდა. ანგარიშები საერთაშორისო ბანკთან ექსპერტების აზრით სინამდვილეს არ შეეფერებიან, ნევის ქარხანა კი სწორედ არის დაფასებული. გზის ანგარიშები უწეს-რიგოდ უდგენიათ.

**ვაშინგტონი.** სტატს-სეკრეტარმა გეიმ და გერმანიის ელჩმა ხელი მოაწერეს პირობას, რომლის ძალით გერმანიიდან მოსულ სავაჭრო საქონელს იმავე სადამოჟნო შეღავათს მისცემენ, რაც ეძლევათ სხვა სახელმწიფოების საქონელს. მაკ-კინლეი ამ მოკლე ხნის განმავლობაში გამოსცემს პროკლამაციას, რომლის ძალით შემოღებული იქმნება შემცირებული ტარიფი.

**იოკაჰამა.** სამინისტროს ყოველ დღე ბჭობა აქვს. ჰფიქრობენ, რომ განზრახვა აქვთ კიდევ ერთი დივიზია გაგზავნონ ჩინეთში.

**ვაშინგტონი.** დეპეშა ადმირალ რემისა ჩიფუდან, 27 ივნისიდან: „გუშინ აქ მოვიდა; მეცხრე ქვეითი პოლკის ორი ბატალიონი და ზღვაოსანთა ერთი ბატალიონი დღეს გადავსვი ნაპირზედ ტიანცზინში გასაგზავნად. ეს არის ეხლა სეიმურმა შემატყობინა ტიანცზინიდან, რომ უცხოელნი ძალიან შევიწროებულნი არიან.

**ვენა.** იტალიაში მიმავალი რუსის ვიცე-ადმირალი ფედოტოვი გულის ავადმყოფობით გადიცვალა სადგურ ბიზენციის ახლო. გვამს ოდესაში მიასვენებენ.

**პეტერბურგი.** „პრავიტ. ვესტნიკში“ დაბეჭდილია:“ უსურიის ნიველსკიდან იუწყებიან 22 ივლისიდან, რომ, როგორც ხმები დადის, მოუკდენში მოუკლავთ ფრანგთა ეპისკოპოსი და დაუწვავთ მისიონერების სადგომი.

**ტიანცზინი.** გაზვიადებული ხმები დადის, ვითომც ტელინში გაჩნდა მოკრივების ბრბო და არბინში აგტატორები. ჩინეთის ტიფანვუანს ტელინში გაუგზავნია რკინის გზის უფროსისათვის განცხადება, რომელშიაც აუწყებს მცხოვრებთ, რომ „მოკრივენი“ და იმათი მომხრენი სიკვდილით უნდა დაისაჯონ. ნამდვილად კი იმათ წინააღმდეგ არავითარი ღონისძიება არ არის მიღებული. აჯანყებულთა ბრბოებმა იძულებული გახადეს ჩინეთის ქვანახშირის მაღნებში მომუშავე ინგლისელები დასცლოდენ აქედან. გირინში, როგორც ამბობენ, ყველა დიდი შიშით არის შეპყრობილი და აჯანყების ფიქრი აქვთ. რკინის გზის ტელეგრაფი, რომელიც წინად მოშლილი იყო ეხლა ისევ გაუმართნიათ.

**პეტერბურგის ბირჟა 27 ივნისს**

| | მყიდველობა. | გამყიდველობა | გაყიდვანობა. |
|---|---|---|---|
| | მ ი | ნ ა | თ ი |
| 4°/₀ სახელმწიფო რენტა. . . . | 97¹/₄ | — | — |
| 4¹/₂°/₀ შინაგანი სესხი 1893 წ. | 100 | — | — |
| 4°/₀ გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | — | 98¹/₄ | — |
| 5°/₀ 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | — | — | 295 |
| 5°/₀ მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | 255 | — | — |
| 5°/₀ გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა . . . . . | — | — | 195¹/₂ |
| 3¹/₂°/₀ გირავ. ფურ. იმავე ბანკისი. . | — | — | 90¹/₂ |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5°/₀ გირავნ. ფურცლ.. | — | — | — |
| 4¹/₂°/₀ გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა . . . . | — | — | — |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის 6°/₀ გირ. ფურცლ. . . . | — | — | — |
| 5°/₀ გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა... | — | — | — |
| 5°/₀ ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . | — | — | 97¹/₄ |
| 4¹/₂°/₀ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა .. . . | — | 90 | — |

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

# ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲒᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ

**ნ ი ხ რ ი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა . | 1 გ. | 8¹/₂ კ. | | |
| სუკი . . . . . | » | — | 15 კ. | |
| » ცხვრისა . . . | » | — | 8¹/₂ კ. | |
| » ღორისა . . . | 1 | — | 8 კ. | |
| » კამეჩისა | » | » | — | 8 კ. |
| » ღორის ბარკალი სალორეთი . | 1 | » | —10 კ. | |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I | ხარ. | 1 | გ. | 5 | კ. |
| » » | II | » | » | » | 3¹/₂ | » |
| » » | III | » | » | » | 3 | » |
| იგივე თონისა | I | » | » | » | 5 | » |
| » » | II | » | » | » | 4 | » |
| » » | III | » | » | » | 3¹/₂ | » |
| ლავაში ჯვ. მამ. | I | » | » | » | 6 | » |
| » » | II | » | » | » | 4 | » |

**ტფილისის ბაზრები:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| გაიყიდა მეიდნებზე: | | | კუკზალზე, | | |
| ხორბალი საუკ. ფუთი. | მ. | კ. | მ. | კ., | |
| | 1 | 1 | 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | — | |
| ქერი . . . . . . | 1 | 1 | 1—5— | | |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 80— | — | |
| ფქვილი სოფლისა . | 1 | 1 | 20— | — | |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10— | — | |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 50— | — | |
| კარტოფილი. . . . | 1 | — | 80— | — | |
| ხახვი . . . . . | 1 | — | 10— | — | |
| თავა . . . . . | 1 | — | 25— | — | |
| ბზე. . . . . . . . | 1 | — | 28— | — | |

შუშა რცხილისა 1 სრული საუ. საწყობებში 38 მ., შუშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი, 40 მ. კამეჩი 60 მ. კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მ.

**რუსეთის ბაზრები:**

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. |
|---|---|---|
| № 0—9 მ. 25 კ. | | № 4—7 » 25 » |
| № 1—8 » 50 » | | № 5—7 » — » |
| № 2—8 » — » | | № 6—6 » 75 » |
| № 3—7 » 50 » | | № 7—6 » 25 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ. შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ. „ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10°/₀ შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

**საავადმყოფოები**

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა,** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა,** კორონცოვის ქუჩა, სახლი იელიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი ტ. ტარხნიშვილი.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბართოლეს ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) კორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

**მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.**

(მატარებელთა მიმოსვლა განწესრიგებულია პეტერბურგის საათის თანახმად, რომელიც 58 წუთით უკან არის ტფილისის საათზე.)

**სწრაფი მატარებელი № 1** ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 11 ს. 19 წ.; ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 41 წ.

**სწრაფი მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 11 ს. 18 წუთ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 9 ს. 30 წ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 11 ს. 29 წ., ტფილისში მოდის საღამოს 5 ს. 34 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 6 ს. 34 წუთ., ბათუმში მიდის დილის 7 ს. 14 წ.

**მატარებელი № 4** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 7 საათ. 59 წ. საღ., ტფილისში მოდის 8 ს. 42 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 10 ს. 05 წ., ბაქოში მიდის ღამის 5 ს. 16 წ.

**საფოსტო მატარებელი № 74/75** ტფილისიდან ყარსში გადის საღამოს 9 ს., ყარსში ჩადის 12 ს. 56 წ. დღით.

**საფოსტო მატარებელი № 76/77** ყარსიდან ტფილისში გამოდის ნაშუადღ. 3 ს. 29 წ., ტფილისში მოდის დილის 7 ს. 15 წ.

**სახალხო მატარებელი № 5** ბაქოდან ტფილისში გამოდის ნაშუად. 4 ს. 01 წ. ტფილისში მოდის 8 ს. 53 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 32 წ., ბათუმში ჩადის ღამის 9 ს. 01 წ.

**სახალხო მატარებელი № 6** ბათუმიდგან ტფილისში გამოდის დილ. 7 ს. 50 წ.; ტფილისში მოდის საღამოს 7 ს. 15 წ.; ტფილისიდან

ბაქოში გადის საღამ. 7 ს. 45 წ., ბაქოში ჩადის შუად. 12 ს. 10 წ.

მატარებელი № 7 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 1 ს. 45 წ., ბორჯომში მიდის 6 ს. 50 წ. საღ.

მატარებელი № 8 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 12 ს. 30 წ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 6 ს. 20 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 4 ს. 10 წ., მეორე—დღის 11 ს. 20 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 26 წ., ფოთში მიდის—პირველი 6 საათ. 19 წ. დილით, მეორე—1 ს. 29 წ. დღ. და მესამე—საღ. 9 ს. 42 წ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის ორი მატარებელი: პირველი—ღამის 12 ს. 52 წ., მეორე—8 ს. 49 წ. საღ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—11 ს. 04 წ. საღ.

სახალხო მატარებელი № 33 რიონიდან ქუთაისს გადის დილის 9 ს.; ქუთაისში მიდის 9 ს. 25 წ.

სააგარაკო მატარებელი № 15 ტფილისიდან მცხეთას გადის დილის 7 ს. 19 წ., მცხეთაში მიდის 8 ს.

სააგარაკო მატარებელი № 16 მცხეთიდან ტფილისში გამოდის საღ. 9 ს., ტფილისში მოდის საღ. 9 ს. 38 წ.

სააგარაკო მატარებელი № 18 გორიდან ტფილისში გამოდის საღ. 6 ს. 46 წ., ტფილისში მოდის 8 ს. 59 წ. საღ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 57 შორაპნიდან ჭიათურაში გადის ღამის 2 ს. 20 წ.. ჭიათურაში მიდის 5 ს. 12 წ. ღამ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 58 ჭიათურიდან შორაპანში გადის დილის 9 ს. 48 წ.; შორაპანში მიდის 12 ს. 40 წ. ღამ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 59 შორაპნიდან გადის დღისით 4 ს.; ჭიათურაში მიდის საღ. 6 ს. 52 წ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 60 ჭიათურიდან შორაპანში გადის 10 ს. 10 წ. საღ.; შორაპანში ჩადის ღამ. 1 ს.


# განცხადებანი

## სემინარიელი

ამზადებს შეგირდებს სემინარიისთვის, სასულიერო, სამოქალაქო, სატეხნიკო და სხვა სასწავლებლებისთვის.

2 Кобійскій тупикъ (около Цхнетской ул.), д. № 44.

5—2

ისტორიული ნარკვევი

ანუ

ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის

შედგენილი

ალექსანდრე ჭყონიასაგან

მოწონებულია კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან საშუალო სასწავლებლების ბიბლიოთეკებისათვის

ფასი 1 მ. 50 კაპ.

ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში.

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

## გამგეობისაგან.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლადა სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1— » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | «—50 |
| დაბადება და აღზრდა კრებულ ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | «—10 |
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (პავლონიმი) | «—20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: I ტომი | «—70 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| იგივე III ტომი | «—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | «—80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა | «—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | «—60 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | «—60 |
| სიბრძნე-სიცრუვე საბა-ორბელიანისა | «—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი | «—20 |
| აივენგო ვოლტერ სკოტისა | «—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | «—15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა | 1—20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის გ. პეტრიაშვილისა | 1—50 |
| რძე მისივე | 1—50 |
| სიბრძე ბალავარისა | «—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა | «—80 |
| დასტურ-ლამა | «—10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

## გლეხი-კაცის ისტორია,

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლუციისა**

| | | |
|---|---|---|
| ნაწილი I | საერო კრება | 60 კ. |
| | იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი II | სამშობლოს განსაცდელი | 60 „ |
| | იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი III | წელიწადი პირველი რესპუბლიკისა | 1 მ. 20 „ |
| და ნაწილი IV | მამულიშვილი ბონაპარტი | |
| | იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 „ |
| ბრძოლები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი | | 30 „ |
| ივდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა | | 30 „ |

**პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება**

# ОТЪ КОНТОРЫ ГАЗЕТЫ „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“.

Изданіе газеты „**Новое Обозрѣніе**“ будетъ возобновлено ***съ 18-го августа настоящаго года.***

Подписчики прошлаго года, непожелавшіе взять обратно оставшихся за конторой денегъ, будутъ получать газету ***безъ доплаты*** съ 18-го августа по 1-е октября. Тѣ изъ нихъ, которые пожелаютъ получать газету и затѣмъ, съ 1-го октября по 1-е января 1901 г., доплачиваютъ 2 руб. 50 коп. Новые же подписчики за время съ 18-го августа по 1-е января 1901 года платятъ 3 руб. 50 коп.

Подписчики прошлаго года, въ случаѣ перемѣны адреса за время до 18-го августа, сообщаютъ о томъ заблаговременно въ контору „Нов. Обозр.“, причемъ особой доплаты за перемѣну адреса не вносятъ.

**ДЛЯ ПРІЕМА ПОДПИСКИ И ОБЪЯВЛЕНІЙ** контора (Барятинская, д. кн. Тумановыхъ) открыта по вторникамъ и пятницамъ—отъ 6 до 7 час. вечера. (3—л.—3)


გამომც. გ. გუნია.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 Іюня 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. განქის დიდი ქუჩა, № 27.